ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4234902

ნომერი: AR1635187

თარიღი : 04.10.2018

გაცემის თარიღი : 25.10.2018

გაცნობის თარიღი : 29.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შორაპნის , N 34 , (ნაკვ. 26/47) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შორაპნის , N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხოტენაშვილი პ/ნ 01005023118
- თბილისი გოგოლაურის ქ. კორ. 18 ბ. 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2018 წლის 04 ოქტომბრის №AR1635187 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 04 ოქტომბერს №AR1635187 განცხადებით მომართა ნინო ხოტენაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 12

სექტემბრის №2829666 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი ისანი, შორაპნის ქ. №34-ში, (ნაკვ.26/47/ ქ. თბილისში, შორაპნის ქ. №34-ში, მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.13.026.102), დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2949926 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებაში და სარდაფის ფართობად დაფიქსირდა 214.53 კვ.მ, ხოლო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 159.28 კვ.მ. ამავე სამსახურის 2017 წლის 12 ივნისის №3316687 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 8 დეკემბრის №2949926 ბრძანებაში და -3.250 ნიშნულზე დამხმარე სათავსოების ფართობად დაფიქსირდა 180.666 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 12.02 კვ.მ, დერეფნისა და ლიფტის შახტის ფართობად 33.87 კვ.მ და შესაბამისად სარდაფის საერთო ფართობად 226.556 კვ.მ. ასევე სამსახურის 2017 წლის 13 სექტემბრის №3520089 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებაში და სარდაფის საერთო ფართობად დაფიქსირდა 214.48 კვ.მ.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებაში, კერძოდ, განმცხადებელს სურს საცხოვრებელ ფართობად 1175.23კვ.მ-ის ნაცვლად 1174.61კვ.მ-ის დაფიქსირება.
იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას 0,00; +3,25; +6,50; +9,75; +13,00; +16,25 ნიშნულების გეგმები და თითოეულ სართულის ექსპლიკაციებზე დაკონკრეტდეს საცხოვრებელი ფართობი, ასევე განიმარტოს საცხოვრებელ ფართობის ჯამში რომელი ფართობები შედის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს 05 (ხუთი-) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 05 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია, კერძოდ: საჭიროა წარმოდგენილ იქნას 0,00; +3,25; +6,50; +9,75; +13,00; +16,25 ნიშნულების გეგმები და თითოეული სართულის ექსპლიკაციებზე დაკონკრეტდეს საცხოვრებელი ფართობი, ასევე განიმარტოს საცხოვრებელ ფართობის ჯამში რომელი ფართობები შედის.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2018 წლის 04 ოქტომბრის №AR1635187 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.